

სამედიცინო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამომცემი
გამოდის 1957 წლიდან
№10 (268) დეკემბერი, 2013 წ. www.tsmu.edu

გაზეთი



გილოცავთ.

დამდეგ

შობა –

ახალ წელს!



გ შ ი რ მ ს ა შ მ ნ



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს ვულოცავ შობა-ახალწელს!

თითოეული თქვენგანისთვის წარმატებული, ნაყოფიერი და ქვეყნის საკეთილდღეოდ ღირსეული საქმეების კეთების წელი ყოფილიყოს!

ვისურვებდი სტუდენტობის საუკეთესო წლები ახალგაზრდებმა წიგნიერებას, ძიებას და თვითგანათლებას დაუთმონ.

საამაყოა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. ღრმად ვარ დარწმუნებული, უნივერსიტეტი კიდევ უფრო ძლიერი გახდება, ხოლო სტუდენტებს შექმნილი ცოდნა წარმატებული გზის არჩევაში დაეხმარებათ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ შობა-ახალ წელს!

პატივისცემით, **თამარ სანიკიძე**, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრი

ჩემო მომავლო კოლეგებო, პროფესორ-მასწავლებლებო!

გულით გილოცავთ დამდეგ 2014 წელს! გისურვებთ წარმატებებს. მოგვხსენებთ, ნებისმიერი ტექნოლოგიური მიღწევა უძღურია მნიშვნელოვნად შეცვალოს შედეგი, თუ სწორად არ იქნება გააზრებული საკითხისადმი ინტეგრალური მიდგომა.

დაავადებათა დამარცხება შეიძლება მხოლოდ მთლიანი სისტემით: პრევენცია - ადრეული დიაგნოსტიკა - მკურნალობა - რეაბილიტაცია. მედიცინაში ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს დიდი როლი ენიჭება, მაგრამ მთავარი მაინც სამედიცინო პერსონალის ცოდნა და კვალიფიციურობაა.

გისურვებთ, სწორად დაგეგვებით თქვენი მომავალი, თქვენს სახელს და საქმიანობას უკავშირდებოდეს ქართული მედიცინის წარმატებები!

პატივისცემით, **დავით სარგაძე**, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი



გილოცავთ შობა-ახალწელს...

2013 წელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოთხმოცდასამწლიანი ისტორიის კიდევ ერთი წარმატებული ფურცელია. სამედიცინო უნივერსიტეტი დამაჯერებლად მიიწვევს წინ, დამსახურებულად ინარჩუნებს უმაღლესი სამედიცინო განათლების ფლაგმანის როლს საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არის სამედიცინო განათლების ევროპული სივრცის სრულყოფილი წევრი და ანგარიშგასაწიფი წევრი, საინტერესო და მიმზიდველი პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდებისთვის, უცხოელი კოლეგებისა და სტუდენტებისთვის.

ყოველ ახალ წელს ერთდროულად მოაქვს განცდა სიხარულისა და ერთგვარი გულისტკივილისა: სიხარული და ოპტიმიზმი იმედების გამართლებას, ახალი გამოწვევების დაძლევისა და წინსვლას უკავშირდება, გულისტკივილი კი ჩვენთვის ძვირფასი ადამიანების ამქვეყნიდან წასვლას. უკვე მინურული 2013 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის აღინიშნა რამდენიმე ახალი საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის - დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის, ფრანგ პარტნიორობთან ერთად დაგეგმილი და ამოქმედებული საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის, პერსპექტიული და საინტერესო კვლევითი პროექტების ამოქმედებით; დასრულდა ახალი სამედიცინო უნივერსიტეტო კლინიკის კაპიტალური რეკონსტრუქცია და იგი მომავალ, 2014 წელს ჩადგება სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და რეზიდენტების მაღალი სტანდარტის განათლების, საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში. დიდია საქართველ-



ოს მთავრობის როლი და დამსახურება საუნივერსიტეტო კლინიკის თანამედროვე ტექნოლოგიურ და მეთოდურ დონეზე აღჭურვის საქმეში, რაც განმსაზღვრელია უმაღლესი სამედიცინო განათლების აუცილებელი კომპონენტის - კლინიკური სწავლების ეფექტურ-

ად წარმართვისთვის. სამედიცინო უნივერსიტეტის წარმატებები, უპირველესად, თქვენი დამსახურებაა, ჩემო ძვირფასო სტუდენტებო, პროფესორ-მასწავლებლებო, კოლეგებო და გულშემატკივრებო. ჩვენი მძლავრი ფესვები ჩვენი მასწავლებლების ცოდნა, დამსახურება და ავტორიტეტია. ღირსეულ ან მყოს ჩვენი ერთად ვქმნით, რაც საფუძველს გვაძლევს იმედიანად ვიყუროთ მომავლისკენ. სწორედ ამიტომ აირჩია 2009 წელს სამედიცინო უნივერსიტეტმა დევიზად და განვითარების ვექტორის სიმბოლოდ - „ტრადიციებით - მომავლისკენ!“.

თითოეული ჩვენგანი, შესაძლებლობის და კომპეტენციის ფარგლებში, ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი საერთო მიზნის - მედიკოსების, სტომატოლო-

გების, ფარმაცევტების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ასევე, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალისტების, მედიცინისა და ბეზიაქლების კვალიფიციური პროფესიული და აკადემიური კადრის აღზრდის, საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. სამედიცინო უნივერსიტეტი იყო, არის და იქნება იქ, სადაც დასტირდება ქართული მედიცინის წარმატებულ მომავალს.

ძვირფასო კოლეგებო და მომავლო კოლეგებო, გულითადად გილოცავთ ახალ, 2014 წელს!

გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, სიყვარულს, პროფესიულ წარმატებებს, ჩვენი სამშობლოს წინსვლას და განვითარებას!

პროფესორი **ზურაბ ვადაჭორია**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

წიგნოყიებო - მომავლისკენ

...დაქედილი ბედაურებიოთ“ მიჰქრიან წელიწადები... უსასრულოა სრბოლა წამისა - ხანაც სიკეთედ დაღვრილ-დანთებულისა, ხანაც „მქმნელისა ავისა“...

...და მიუხედავად ყველაფრისა, განგება ჩვეულად გიღიღინებს ხოლმე ყველას და ყველაფერს, საზღაურს მიუზღავს სიკეთის მქმნელსაც და... ბევრს სხვასაც...

სიკეთის მთესველთა უსაზღვრო არმიამი ქვეყნისათვის მოიზარებთან ქართველი მედიკოსები, ისინი, რომელთა მხრებზეა ქართული სამედიცინო სკოლის ძირძველი ტრადიციების შენარჩუნება-განმტკიცება...

გვინდა მომავალი ახალი წელი მიეულოცოთ განურჩევლად ყველა მედიკოსს - ძველი და ახალი თაობის ღირსეულ წარმომადგენლებს, განსაკუთრებული მადლობა ვუძღვნათ მათ, რომელთა დამსახურებით, დღეს ფეხზე დგას ქართული მედიცინა, ყალიბდებიან და იზრდებიან თანამედროვე მედიკოსები...

ჩვენი უნივერსიტეტის და გაზეთის კოლექტივის სახელით კი ამაგდარ ქართველ მედიკოსებს, დიდი სითბოთი და სიყვარულით, განსაკუთრებულად გვინდა მიუულოცოთ შობა-ახალი წელი, ბედნიერ და საუკეთესო მომავალს ვუსურვებთ მათ!

მოკრძალებულ მოკითხვა საუკეთესო სახალწლო სურვილებით გვსურს გადავცეთ ქალბატონებს: **კლარა გელ-**

დიდი ისტორიის უაღრესად



ავილს, ლიკა მენთემაშვილს, ლია ქელიძეს, ლია ადგიშვილს, თინა თოდუას, ციალა ბიჩინაშვილს, მერი მჭედლიშვილს, ლია კვიციანიშვილს, იზოლდა შენგელაიას;

ბატონებს: **ლევან ჭაჭიაშვილს**, პალიკო კინტრაიას, ვაჟა გვანცელაძეს, ბიძინა ჭუმბურიძეს, გურამ ტატიშვილს, რეზო კაპანაძეს, უჩა გაბუნიას, ვადიმ სააკაძეს (მამა იოანეს), ელგუჯა ყიფიანს, ავთანდილ კვეზერელი-კოპაძეს, გიორგი კაკოიშვილს, გურამ ბეჭაიას, გურამ რცხილაძეს, ბიძინა დიდუბულიძეს, გივი გონჯილაშვილს, სულხან ქემოკლიძეს, ივა ბერაძეს, რომანოზ სვანიშვილს, ვაჟა ერიაშვილს, ზურაბ კაციტაძეს, გივი თურმანაშვილს, რობერტ ქარჩხაძეს, თემურ გორდელაძეს, იპოლიტე მონიაშვილს, ჯუმბერ კუჭუხიძეს, საშა ბრეგაძეს!

ტივისცემის კიდევ ერთი დასტური გახლდათ სამედიცინო უნივერსიტეტში ახლახან გამართული წინასახალწლო შეხვედრა, სადაც სამედიცინო ინსტიტუტის 1953 წლის კურსდამთავრებულები შეიკრიბნენ, რომელთა შორის იყვნენ: **ლელია ახვლედიანი**, ლია დუნდუა, ნათელა თურქია, ირინე კუხალაიშვილი, ია მარტაძე, ზაირა ტაგანაშვილი, ნარი უსტიაშვილი, ლელია ქაროსანიძე, მილა ჯაფარიძე, ეთერ გოგოძე, ნუნუ ქაღვიშვილი, ლალი ჩიტაიშვილი, გურამ ბეჭაია, მიხეილ გედევანიშვილი, დავით დობორჯგინიძე, ბესიკ იაშვილი, ვიქტორ მახათაძე, შოთა მირაშვილი, დორიან მურმანიშვილი.

რთა თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭორიამ**, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ღვანწლოვანი მედიკოსების დიდ დამსახურებაზე და აღნიშნა: „**თქვენ ბრძანდებით საქართველოში სამედიცინო განათლების განვითარების მემკვიდრეები; თითოეული თქვენგანის ბიოგრაფია ჩვენი ეროვნული მედიცინის მნიშვნელოვანი ფურცელია, თქვენ ხომ ადამიანის კეთილ-**



დებობაზე ზრუნვის ჭეშმარიტი მისიის მატარებლები ბრძანდებით. მოხარული ვარ, რომ შეხვედრის ორგანიზების პატივი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ხვდა წილად. მადლობა რექტორის მრჩეველთა საბჭოს, ვისი ინიციატივაც იყო ამ სასიამოვნო ღონისძიების ჩატარება. სამწუხაროდ, შეხვედრას ვერ ესწრებიან ადამიანები, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს მედიცინის განვითარებაში; პატივს მივავებთ მათ

სოსვანას...

...თითოეული ადამიანი დროის გამტარია წარსულსა და მომავალს შორის; სხვა სიტყვებით - ჩვენ ერთად მივიღვართ ტრადიციებით მომავლისკენ. გისურვებთ მხნეობას, დიდხანს სიცოცხლეს და სურვილების ასრულებას, პროფესიულ მწყობრში ყოფნას!“

შეკრებილ სტუმრებს სამედიცინო უნივერსიტეტისგან საჩუქრად გადაეცა „მადლიერების ბარათი“, სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველი საიუბილეო წიგნი და სუვენირები.

შეხვედრას ესწრებოდნენ, ასევე, უცხოელი სტუმრები, თსსუ-ის საპატიო დოქტორები, პროფესორები მიხეილ ლენტეჯი, ჰელმუტ შანი, ტიმო ულრიხსი, იოან პროფესორი.

სასიამოვნო შეხვედრა ღამაზად და-



სრულა კონცერტმა, რომელშიც მონაწილეობდნენ თსსუ-ის სპორტისა და კულტურის ცენტრთან არსებული შემოქმედებითი კოლექტივები და უცხოელი სტუდენტები.

ღარაჯან კომლაძე



კონიკებში

პროფესიული დაოსტატებისთვის

სტუდენტების, რეზიდენტების და ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული დაოსტატებისთვის მიმდინარე სასწავლო წელი მეტად მნიშვნელოვანი იყო. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკებთან ურთიერთობის სამსახურის (ხელმძღვანელი, რექტორის

მოადგილე, გიორგი აბესაძე) მიერ ახალგაზრდები პროფესიული ცოდნის მისაღებად და ასამაღლებლად იგზავნებიან თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ უცხოურ და ჩვენი ქვეყნის კლინიკებში. შეირჩა საზაფხულო სკოლა-სტაჟირების კლინიკური ბაზები,

ფარმაცევტული და სადაზღვევო კომპანიები, კერძოდ: 6 კლინიკა, 3 სადაზღვევო კომპანია, 3 ფარმაცევტული კომპანია, 2 პოსპიტალური ქსელი, 2 რეგიონული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, თბილისის სასწრაფო დახმარების ცენტრი, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი.

ქვეყნის წამყვან და უცხოეთის კლინიკებში ხდება ძირითადი კლინიკური და თეორიული დისციპლინების და მიღებული ცოდნის გაღრმავება, პრაქტიკული უნარ-ჩვევების სრულყოფა, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის, ასევე, სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო სამსახურის ორგანიზების პრინციპების შესწავლა.

უფროს-კურსელებმა სწავლის პერიოდში გაიარეს ამერიკის გულის ასოციაციის და ქირურგთა კოლეჯის მიერ სერტიფიცირებული პროგრამები, რომელიც მსოფლიოს 45 ქვეყანაშია დანერგილი. ტრენინგები ჩატარდა, ასევე, საგანგებო სიტუაციებზე სამედიცინო რეაგირებისა და მართვის სასწავლო ცენტრში, სადაც გაიცა საერთაშორისო დონის პროვაიდერის სერტიფიკატები.



„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის“ შეხვედრაზე



ჯანდაცვის პროფესიონალთა განათლებისა და ტრენინგის საკითხებს მიეძღვნა WHO-ს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის) ევროპის რეგიონულ ოფისში – კოპენჰაგენში, გამართული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი რიმა ბერიაშვილი. ეს და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მონაწილეობით მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში გამართული მსგავსი შეხვედრები ნათლად მოწმობს სამედიცინო უნივერსიტეტის ჩართულობას და მის აქტიურ როლს საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესებში.

ჩვენთან

სწრაფი იტალიელი პროფესორი

ახლახან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ესტუმრა იტალიის ქირურგთა საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი ჯან ლუიჯი მელიტი.

მისი პირველი ვიზიტი საქართველოში 1996 წელს შედგა და მის შემდეგ იგი ყოველწლიურად სტუმრობს ჩვენს ქვეყანას.

იტალიელი პროფესორი აქტიურად თანამშრომლობს ქართველ ექიმებთან, მონაწილეობს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში; გახლდათ ამ დარგის პირველი ქართველი სპეციალისტების აღმზრდელი და გზის მაჩვენებელი. პროფესორი მელიტი არის საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი.



ახალი სწავლება

კვლევების სწრაფ ფარმაცეუტისთვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრი შეიქმნა სამეცნიერო უნარ-ჩვევის ლაბორატორიის ბაზაზე, MUMENA-ს პროექტის ფარგლებში, რომლის საქმიანობაც ითვალისწინებს თსსუ-ში სამეცნიერო კვლევების კოორდინაციას და, ასევე, სამეცნიერო კვლევის კურსის განხორციელებას. სამეცნიერო კვლევის კურსი მოიაზრებს სამეცნიერო უნარ-ჩვევების სწავლებას და ამ სწავლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს – რა არის კვლევა, კვლევის თეორიული პერსპექტივები, კვლევასთან ასოცირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ეთიკის საკითხები, კვლევის სწავლების დიზაინი, მონაცემების პრეზენტაცია, სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამები, მონაცემთა ბაზის მართვა, მზადება პუბლიკაციისთვის,

საგრანტო პროექტების წერა. ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად ცენტრის თანამშრომლების მიერ მომზად-

ტო კონკურსში. ცენტრის უმნიშვნელოვანეს საქმიანობას წარმოადგენს სტუდენტური სამეცნიერო პროექ-

თადი ფუნქცია და დანიშნულებაა ლაბორატორიულ ცხოველებზე წარმოებული ბიოსამედიცინო კვლევების ზედამხედ-

ვაში მოიაზრებს სტუდენტური სამეცნიერო კვლევების წარმოებას, სტუდენტური და სხვა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებას და ჩატარებას, CRDF GLOBAL-ის ან სხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ვორკშოპებსა და ტრენინგებში აქტიურ მონაწილეობას მისი საქმიანობიდან გამომდინარე. გაზაფხულის სემესტრის ბოლოს ვგეგმავთ საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას, სადაც ჩვენი საპატიო სტუმრები იქნებიან გრანდის უნივერსიტეტის პროფესორი ხოსე პეინადო (ესპანეთი) და რომის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი ფედერიკა ვოლფი (იტალია).



დადა სახელმძღვანელო სახელწოდებით – „სამეცნიერო უნარ-ჩვევები და კვლევა“, რომელიც წარდგენილი გვაქვს CRDF GLOBAL და GRDF-ის საგრან-

ტების განხორციელება. ცენტრის ბაზაზე ფუნქციონებს ექსპერიმენტულ ცხოველებზე წარმოებული კვლევის მონიტორინგის კომიტეტი, რომლის ძირ-

ველობა და შესაბამისობის უზრუნველყოფა საერთაშორისოდ აღიარებულ ეთიკურ და სამართლებრივ სტანდარტებთან. ცენტრი, ასევე, თავის საქმიანობ-

ლუიჯა გაბუნია, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი



სტყუენწყური გვერდი

სტყუენწყური სტყუენწყური

„შეხვედრები ჩვენთან“



დავარქვი; შემდეგ მუსიკა დავერე; შექმენი საღამოს ლოგო – ფესვებგადახლართული დიდი და პატარა ხე, რომელიც ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთკავშირის სიმბოლოდ მივიჩინე. მაქსიმალურად დავიხარჯე, რომ საღამოზე წარმოდგენილი ყოფილიყვნენ პედაგოგები როგორც კლინიკური, ისე თეორიული დეპარტამენტებიდან.

თითოეულ დღეს ჰყავდა თავისი ე.წ. ძირითადი სტუმარი, რომელსაც საღამოს გახსნის პატივი ერგებოდა.

სამი საღამო მოვანდომეთ ცხოვრებისეული კუთხით ურთიერთგაცნობას. თითოეული საღამო ერთმანეთისგან განსხვავებული, ღირსსახსოვარი და გამორჩეული იყო, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა... მონვეულმა სტუმრებმა პირველ საღამოს თავიანთი ბავშვობის, სტუდენტური წლების, მრავალი საინტერესო ამბისა და კუროზის გახსენებით დროის შეგრძნება დაგვაკარგინეს, თურმე სამ საათს სამი წამით გაერბინა...

მეორე საღამოზე შეხვედრის ხიზლმა გაუსწრო პირველისას. საინტერესო ისტორიებთან და კუროზებთან ერთად, პროფესორ-მასწავლებლებმა სტუდენტებთან იმდერეს... ემოცია იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთმა ლექტორმა უღამაზეში ძველი სიმღერაც შეგვისრულა...

შეხვედრამ კულმინაციას მესამე საღამოს მიაღწია... მუსიკასთან ერთად იმძლავრა პოეზიამ... დამსწრე საზოგადოება მხილველი გახდა სასიამოვნო სიურპრიზებისა. ეკრანზე ვაჩვენეთ ერთ-ერთი ლექტორის სტუდენტობისდროინდელი სურათები, რაც მისთვის მოულოდნელი და დიდად სასიამოვნო აღმოჩნდა.

დაუვიწყარი ღონისძიების ბედნიერი დასასრული აღინიშნა არაჩვეულებრივი მუსიკითა და საღამოს ლოგოს გამოსახ-

შეხვედრების ციკლი დასრულდა, მაგრამ, იმედია, იგი გაგრძელდება, ტრადიციად იქცევა, რადგან ასეთია პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სურვილი, რაც ასახულია შთაბეჭდილებათა ნივთში.

ვსარგებლობ შემთხვევით და დამდეგად

ცინის ფაკულტეტის VI კურსის 27-ე ჯგუფის მთლიან შემადგენლობას; რომ არა თქვენ, ჩემო მეგობრებო, მარტო ვერაფერს გავხედობოდი, სწორედ თქვენ შემაძლებინეთ ამ შთაბეჭედავი დღეების მონყოლა.

წინასახალწოდ კეთილ სურვილებს გიძღვნი და მადლობას გიხდით: თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელობას, ბატონებს **ზაურ ფხალაძეს** და **ზადრი მაჭავარიანს**, ამ ცენტრთან არსებული კლასიკური მუსიკის განყოფილების უფროსს, **ზაქონ გოდერძი ჩიტაიშვილს**. საღამოს მუსიკალური გაფორმებისა და დიზაინისთვის – **დავით ჯიშველიშვილს** და



ეგ შობა-ახალწელს დიდი სიყვარულით, მონივნებით ვულოცავ ყველა იმ პროფესორ-მასწავლებელს და სტუდენტს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საინტერესო ღონისძიებათა ციკლში, ამასთანავე, უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო საინიციატივო ჯგუფის წევრებს, ჩემს მხარდამჭერებს და თანამდგომებს, ჯანდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს – თანაზამყვან **თამარ ბერიშვილს** და მივმართო მას: თამარ, ჩემო ძვირფასო! უღრმესი მადლობა იმ მხარდაჭერისა და თანადგომისთვის, რაც გამიწივ თავდაუზოგავად... არაჩვეულებრივი ხარ! ასევე შევეცდები ირ-

გურამ ნავროზაშვილს. ჩვენ მიმართ პატივისცემის გამოხატვისთვის – ბიბლიოთეკის დირექტორს, ქალბატონ **ეკა ვერულაშვილს** და, რა თქმა უნდა, მადლობა სტუდენტურ თვითმმართველობას, მის პრეზიდენტს – **კახა აბულაძეს**, ვიცე-პრეზიდენტ **თამარ საგანელიძეს**, ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა საზოგადოების პრეზიდენტს, **მიხეილ ჯანჯღავას!**

განსაკუთრებული ფორმატის, შინაარსის, მიზეზის და მიზნის წყალობით, ღონისძიება დიდად წარმატებული აღმოჩნდა.

ყველას, ყველას, ყველას! – ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!

ჩემი ყველა განსაკუთრებული სურვილი და იდეა ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს უკავშირდება...

იმედია, რომ პროფესორ-მასწავლებლებისა და ჩვენი, სტუდენტების, სურვილი ახდება და მსგავსი შეხვედრები ტრადიციული გახდება.

პატივისცემით,
იდეის ავტორი და წამყვანი,
მედიცინის ფაკულტეტის მე-6
კურსის სტუდენტი
ნათია ცანაშვილი



ულებით მორთული ტორტის დაგემოვნებით. სიმბოლურია, რომ ეს მრავლისმომცველი, სიყვარულით, სიბოლოთი და პატივისცემით დატვირთული შეხვედრა წინასახალწოდ დღეებს დაემთხვა – ამაღლებულნი, სხივრულით აღსავსენი ვაცილებთ 2013 წელს და ასეთივე განწყობით ვეგებებით ახალს, 2014 წელს...

აკლი გელენავას და მინდა ვუთხრა: ირავსო! იმდენად წარმოდგენილი მხარდაჭერა მაგრძობინე, რომ გამიჭირდება ოდესმე სამაგიეროს მიგება. რომ არა შენგან უშურველად დრო და ენერჯის გაღება, ნაღვლივად ვერ შევძლებდი ასეთი საღამოების მონყოლას, ამიტომაც წამდვილი განძი ხარ!
დიდი სიყვარულით მადლობა მედი-

კვირეული

კრეატიული იდეებით

კონფერენცია

„გლობალური ჯანმრთელობა და მედიცინა“



2013 წლის 3-7 ნოემბერს, თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სტუდენტური საზოგადოების

სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით ჩატარდა ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის კვირეული.

კვირეულის ფარგლებში გაიმართა ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის I სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამავე ფაკულტეტის II, III და IV კურსის სტუდენტებმა. სტუდენტების მოხსენებები და კლინიკური შემთხვევების გარჩევა შეფასდა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან შემდგარი საკონკურსო კომისიის მიერ და გამოვლინდა საუკეთესო პრეზენტაცია – „რეაბილიტაცია ძვლის სოლიტარული კისტით გამოწვეული პათოლოგიური მოტეხილობის შემდეგ“, რომელიც წარმოადგინეს ოთხი ჯგუფის სტუდენტებმა ანა ფიჩხულაშვილმა, ანა ბურჯანაძემ, ნატო ფანჯულიძემ და ირაკლი ჭიოკაძემ. გარდა ამისა, კვირეულის ფარგლებში ჩატარდა მორიგი ტელეხიდი თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციისა და სკენეტონის უნივერსიტეტის (აშშ) შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებს შორის, რომლის დროსაც კლინიკური შემთხვევა ამჯერად ამ-



ერიკელმა სტუდენტებმა წარმოადგინეს. პრეზენტაციის თემა – „LiteGait სისტემისა და ფუნქციური ელექტროსტიმულაციის კომბინირებული გამოყენება თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლის შემდგომ რეაბილიტაციის პროგრამაში“ იყო მეტისმეტად საინტერესო და აქტუალური. პრეზენტაციის შემდეგ გამართულ დისკუსიაში ორივე მხრიდან ჩაერთვნენ როგორც სტუდენტები, ისე აკადემიური პერსონალი. დაიგეგმა მომდევნო, რიგით IV, ტელეხიდის ჩატარება, რომლის დროსაც სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებული კლინიკური შემთხვევის მოხსენებით წარსდგებიან ქართველი სტუდენტები. კვირეული დასრულდა თსსუ-ს „წითელ დარბაზში“ გამართული საექვემოქმედო კონცერტით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც მონვეულმა ფოლკლორულმა კოლექტივებმა, ისე სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

ნანა ნაცაური,
ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სტუდენტური საზოგადოების პრეზიდენტი



სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო დარბაზში ივ.თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა საზოგადოების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეპარტამენტების სხვადასხვა მიმართულების პროფესორ-მასწავლებლების თანადგომით და ჩვენი ინიციატივით, 18 დეკემბერს ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია, რომელიც მიემდგვა კლიმატის გლობალური ცვლილებასთან დაკავშირებით ადამიანზე მოქმედ ახალ გამოწვევებს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ თსსუ-ის სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი, მიხეილ ჯანჯღავა, კვებისა და ასაკობრივი მედიცინის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი შალვა (დავით) ზარნაძე, კვებისა და ასაკობრივი მედიცინის მიმართულების ასისტენტი-პროფესორი, ბელა ყურაშვილი, გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, რევაზ კვერცხილაძე და სხვები. კონფერენცია მიჰყავდა ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტს, თეა ბაქრაძეს. კომპეტენტურმა ჟიურიმ სათანადოდ შეაფასა წარმოდგენილი თემები. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჯანდაცვის, მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტების და ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა: ანი ბერაია, მარიამ მაჭავარიანმა, მარი-

ამ ბერიძემ, ქეთევან თევზაძემ, თეონა კანდელაკმა, თამარ დანელიამ, თამარ ჯიბუტმა, ეკა ბობოხიძემ, ხატია კლინიკიძემ, მარიამ ჭალისურმა, ვლადიმერ ოსაშვილმა, გიორგი გაგუამ, თამაზ გელაშვილმა, გიორგი მულაძემ, გვანცა აბულაძემ, სოფიკო აბაშიძემ, ბაია აბულაძემ, ლელა ფალაშვილმა, გაგა გვენეტაძემ, მეგი საჯაიამ, ხატია ვაჭარაძემ, ანა და სალომე შარაძეებმა, ნინო კორძაძემ, ნანა მურცხვალაძემ, ანა ბუცხრიკიძემ, დინარა კვაჭაძემ, ქეთევან ხეცურიანმა და სხვებმა წარმოადგინეს მოხსენებები დღევანდელი საკვების მეტად აქტუალური პრობლემებზე, კერძოდ, გენომოდიფიკირებული საკვების, წყლის დაბინძურების, სურსათის უვნებლობის, სიმსივნის ეპიდემიოლოგია-კონტროლისა და ზედამხედველობის, საკვების მიწის ნარჩენების, კლიმატის გლობალური ცვლილებების გავლენის შესახებ ადამიანის ფსიქოლოგიაზე; ჟიურიმ ხუთი საუკეთესო ნაშრომი გამოავლინა, რომელთა ავტორები წიგნებით დაჯილდოვდნენ, თითოეულ მონაწილეს სერტიფიკატი გადართა.

გიორგი გაგუა,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი



დოების ორგანიზებით, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, პროფესორ **კახაბერ ჭელიძის**, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის, ქ-ნ **ლელა მახსულისა** და

პროფილი

„მრავალნი არიან ჩინებულ და მსირადნი რჩეულ“ ...



სათაურად გამოტანილი სახარებისეული სიბრძნე ყოველ ეპოქაში აქტუალურად ჟღერს, რადგან „რჩეულნი“ თავიანთი საქმიანობით, პროფესიონალიზმით, ცხოვრების წესით, ზოგადად – მოღვაწეობით, ყოველთვის ახერხებენ პირველქმნილი სისუფთავის, ადამიანური ხიზლის, შინაგანი თავისუფლების შენარჩუნებას. და მიუხედავად ამ ადამიანების მცირერიცხოვნებისა, სწორედ მათი ღირსებები განაპირობებს თუ განსაზღვრავს ამა თუ იმ დარგში მიღწევებს, აღმოჩენას, წარმატებებს... შესაბამისად – პროგრესს. მათ წინაშე, ვფიქრობთ, ვალშია არა მხოლოდ ჟურნალისტიკა, არამედ – საზოგადოებაც, რადგან მათი გამორჩეულობა, გნებავთ – განსაკუთრებულობა, ყოველ ეპოქაში მაგალითი თუ ორიენტირია ჯანსაღი საზოგადოებისთვის.

სწორედ ასეთი გამორჩეული პიროვნება გახლავთ ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი, რომლის ღვაწლის და დამსახურების სრულად წარმოჩენას გაზეთის ერთი გვერდი არ ეყოფა, თუმცა უმთავრესზე მარცხ შევარჩევთ მკითხველის ყურადღებას: იგი სამართლიანად ითვლება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა პათოლოგოლოგიური კვლევის ფუძემდებლად; მან, პირველმა, ახსნა უცარი კარდიული სიკვდილის თანატოლები გულის იშემიური დაავადების დროს; დაადგინა გულის კუნთში განვითარებულ ცვლილებათა მატერიალური საფუძვლები, რაც იწვევს გულის უეცარ გაჩერებას და სიკვდილს; დასაბა გზები ასეთ შემთხვევებში მიოკარდიუმში განვითარებული ცვლილებების რევერსიის შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნული გამოკვლევების შედეგად მიღებულ მონაცემებს შემდგომ დიდი მნიშვნელობა მიენიჭა, განსაკუთრებით – სპორტულ მედიცინაში; შეისწავლა სადღესო მეთად გავრცელებული დაავადების – ათეროსკლეროზის პათოგენეზი, მორფოგენეზი, ორგანიზმში ჰუმორული ფაქტორების დარღვევების ზემოქმედების პირობებში; მანვე, პირველმა, დაადგინა, რომ გულის უკმარისობის კლასიკური (ადამიანებში გავრცელებული) მოდელის მიღება, ექსპერიმენტით შეუძლებელია. ეს სიახლე მნიშვნელოვან მიგნებად შეფასდა ევროპის კარდიოლოგთა IV კონგრესზე, რომელიც 1964 წელს პრაღაში ჩატარდა.

კარდიოლოგოლოგიის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით მას გამოქვეყნებული აქვს 250-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის – 5 მონოგრაფია. მისი ხელმძღვანელობით და კონსულტაციით დაკავშირებულია 25 სადისერტაციო ნაშრომი: 14 საკანდიდატო, 11 – სადოქტორო; არის 250-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის ოფიციალური რეცენზენტი-ოპონენტი. მიღებული აქვს არაერთი ჯილდო, ორდენი, მედალი; მადლობები თუ მილოცვები საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

...ჩვენი პირველი შეხვედრა წლების წინ, მისი იუბილეუს აღსანიშნავ საღამოზე შედგა და, რა თქმა უნდა, საოცრად შთაბეჭდავიც გამოგდა. დასამახსოვრებელი იყო ისიც, რომ იუბილარის გარეგნული იერი სრულიად შეუსაბამო გახლდათ მის ბიოლოგიურ ასაკთან. ავერ უკვე 10 წლის შემდეგ, იგი ჩვეული სიმხნევით და ხალისიანი განწყობის გვეგებება... ჩვენი რუბრიკის სტუმარი ბატონი რაჰაზ კაპანაძეა, კარდიოლოგოლოგიური კვლევის ფუძემდებელი, პათოლოგანატომიური სკოლის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი საქართველოში.

ით დავიწყეთ. მონათხრობიდან ვიგებთ, რომ ამ პერიოდიდანვე გამოკვეთილი გახლდათ მისი გამოჩენილობა, რაშიც დიდი იყო მშობლების: მამის – პედაგოგ ვლადიმერ კაპანაძის და დედის – ქალბატონი თამარ წერეთლის წვლილიც. სწორედ დედის ოცნება იყო მისი ექიმობა, რომელსაც სურდა, რომ შვილი ყველას, განსაკუთრებით, ხელმოკლე ადამიანებს დახმარებოდა. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი, ცნობილი თანაჯგუფელები, მათ შორის, მომავალი მეუღლე – ლილი ხოფერია. „საყოველთაოდ ცნობილი VI ჯგუფი“ – ასე უწოდებდნენ ამ ჯგუფს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ. ბევრი მათგანი აღიარებული მედიკოსი, მეცნიერი, მედიცინის დამსახურებული მოღვაწე გახდა: უჩა გაბუნია, თეიმურაზ გორდელაძე, ეთერ ბოცვაძე, ოთარ ჩახუნაშვილი, ოთარ ბათიამვილი, რეზო კაპანაძე, ლილი ხოფერია და სხვანი... ბატონმა რეზომ სტუდენტობის პერიოდი და ცნობილი თანაჯგუფელების სახელები სამუდამოდ უკვდავყო 2003 წელს გამოცემული 215 გვერდიანი წიგნით, რომელიც მეუღლის ხსოვნას მიუძღვნა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, აკადემიკოს ირაკლი ტატიშვილის და ქალბატონ თამარ დეკანოსიძის რჩევით, მუშაობას იწყებს თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს პათოლოგანატომიურ განყოფილებაში. „პათოლოგიური ანატომია მედიცინის საფუძველთა საფუძველია, – ბრძანებს ბ-ნი რეზო, – და მეტად ხელსაყრელ ვარემოს ქმნის მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის, რაც ჩემი ოცნება იყო. დიდი პრაქტიკული გამოცდილება შემძინა თბილისის პირველი კლინიკური ტუბერკულოზური საავადმყოფოს პათოლოგანატომიური განყოფილების გამგედ მუშაობის პერიოდში. შემდეგ იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კარდიოლოგიის ინსტიტუტის პათოლოგანატომიური განყოფილება...“

– როგორც ვიცით, სწორედ ამ ინსტიტუტს უკავშირდება თქვენი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი...

– დიახ, დაინტერესებული გახლდით მეცნიერული კვლევა-ძიება დამწყობ კარდიოლოგიის ინსტიტუტის პათოლოგანატომიურ განყოფილებაში. აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილის მიწვევით მართლაც დავიწყე მუშაობა და ეს იყო საკმაოდ ხანგრძლივი და ნაყოფიერი ორმოცდაათწლიანი პერიოდი, გზა – უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლიდან განყოფილების გამგედამდე. აქ შევქმენი ახალი ლაბორატორია, ავითვისე მრავალი ახალი მეთოდი, დავიცავი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. გულისტიკვილით აღვნიშნავ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, როგორც იყო მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი, სადღესოდ არ არსებობს. მსგავსი ინსტიტუტი მაშინ არა მხოლოდ ყოფილ საბჭოთა კავშირში, მთელ მსოფლიოშიც არ არსებობდა. მხოლოდ 10 წლის შემდეგ დაარსდა მსოფლიოში და შემდეგ – ინსტიტუტის ხსენებას ვხვდებით. მისი სხვადასხვა ქვეყანაში.

ტუტის დამაარსებელმა, ბ-ნმა მიხეილ წინამძღვრიშვილმა, იმთავითვე დაინახა მისი დაარსების აუცილებლობა და დიდი შრომაც გასწია ამისთვის. როგორც ცნობილია, მას სტალინთან შეხვედრა და მისი უშუალო ჩარევაც დასჭირდა, რომ ეს იდეა განეხორციელებინა. ცხოვრებამ თვალნათლივ დაადასტურა ბ-ნი მიხეილის შორსმჭვრეტელობა: მოგეხსენებათ, სადღესოდ გულ-სისხლძარღვთა

ტერმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა... – თქვენ და სტუდენტები... რამდენადაც ვიცით, სრულიად განსაკუთრებული თემაა თქვენთვის... – დიახ, სტუდენტებთან ურთიერთობის ხანგრძლივი გამოცდილება მაქვს. 1970-90 წლებში ვკითხულობდი ლექციებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, შემდეგ – 1993 წლიდან, როცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე დავაარსე პათოლოგიური ანატომიის კათედრა, იქაც ვწევდი პედაგოგიურ საქმიანობას.

სტუდენტები ძალიან მიყვარს და მათთან მუშაობა ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. რა უნდა იყოს იმაზე სასიხარულო, როცა ახალგაზრდას შენს სურვილი მაქვს კიდევ ვემსახურო ჩემს ქვეყანას, ამიტომ – ჯანმრთელობას ვისურვებდი უპირველესად. ხომ გახსოვთ სოკრატეს ცნობილი სენტენცია: „ჯანმრთელობა ჯერ კიდევ არაფერია, მაგრამ ყველაფერი ჯანმრთელობის გარეშე არაფერია“.

ჩვენც სიამოვნებით და საუკეთესო სურვილებით მივულოცავთ ბატონ რეზოს დამდეგ ახალ წელს, მით უფრო, რომ 2014 წელი მისთვის საიუბილეო წელია. უპირველესად, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ. ამ საგაზეთო წერილით გამოწვეული უკმარისობის განცდა კი გვინდა ნიკო ლორთქიფანიძის სტილით გაჯერებული

პატარა მინიატურით შევავსოთ, ბატონი რეზოსადმი განსაკუთრებულმა პატივისცემამ და მასზე მეტის თქმის სურვილმა რომ გვიკარნახა:

...
ღვანდომილი ექიმი დახვეწილი გარეგნობით: სანდომიანი, თბილი ღიმილი; სათვალის მიღმა – იშვიათი სულიერებით აღბეჭდილი ნათელი იერ-სახე; საუბრის მშვიდი, დასამახსოვრებელი მანერა, რომლის დროსაც, ათრობილებული, გრძელი თითები მეტყველებენ; საკვირველ ბავშვურ უშუალობასთან შერწყმული ბრძენკაცის სიღრმისეული აზროვნება – თხემით ტერფამდე არისტოკრატი...

განვლილი გზა: მუდმივი შრომა, ძიება, სითულებების დაძლევა... ყველაფერი სიყვარულით... საუკეთესო ოჯახი... შეილები... შვილიშვილები... ძვირფასი მეუღლის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი... მონატრება, ერთგულება და სიყვარული – მეუღლის ხსოვნისადმი მიძღვნილმა წიგნმა რომ ვერც დაიტია...

კოლეგების დახასიათებით: „დიდი პიროვნება“, „კეთილშობილი რაინდი“, „ჭეშმარიტი ჰუმანისტი“, „მედიცინის დენდი“, „პროფესიონალიზმის, წესიერების, ადამიანურობის მაგალითი“... განვლილ წლებს თითქოს ბევრი ვერაფერი დაუკლიათ მისთვის: ისევ ოჯახის, მეგობრის, მოყვანის იმედი... სიცოცხლის საზრისი: სიკეთის მსახურება. აღიარება: არაერთი, ჯილდო, ტიტული, სიგელი, მადლობა... ყველაზე დიდი ჯილდო: ადამიანების უსაზღვრო სიყვარული.

ნათო ბოლქვაძე

მაც შემდეგ მნიშვნელოვანი სიტყვა თქვენს მედიცინაში.

– თქვენი ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ რას გვეტყვი?

– სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო დეპარტამენტის ჰისტოლოგიურ სამმართველოში, სადაც ამჟამად ვმუშაობ, მართლაც საუკეთესო პირობებია მუშაობისთვის: თანამედროვე დანადგარები, აპარატურა, ხელსაწყოები, რაც მთავარია, – ძვირფასი მიკროსკოპები. ვცდილობ აქ გამოვიყენო გამოცდილება მიკროსკოპული დაკვირვებით ზუსტი დიაგნოზის და აუტოფსიური მასალის გამოკვლევის შედეგად თანატოლებების მიზეზების დასადგენად. მიღებული დასკვნების საფუძველზე ზუსტი ინფორმაცია მიწოდება სამართალდამცავ ორგანოებს. მისარია, რომ ჩემი მოკრძალებული წვლილი, შეძლებისდაგვარად, ფასდება და არაერთი მადლობით თუ სიგელით აღინიშნება კიდევ, რაც ერთგვარი სტიმულია ნაყოფიერი მუშაობისთვის.

– მალე ახალი, 2014 წელი დგება. როგორია თქვენი წინასახალწლო განწყობა და სურვილები?

– უპირველესად, საზოგადო სატიკვარზე ვიტყვი: როცა საქართველოს ვადარებ სხვა ქვეყნებს, მივიკრს და მანკივრებს ერთი რამ: როგორ უნდა მომხდარიყო, რომ ისეთი ღვთიური მადლით და ბარაქით სავსე ქვეყანაში, როგორც საქართველო, თუნდაც უმნიშვნელო ადამიანური სიკეთე მიუწვდომელი და სანატრელი გამხდარიყო. თუმცა ოპტიმისტი ვარ და ვფიქრობ, ეს დროებითია. თაობათა ცვლასაც, ბევრი მცანი განსწავებით, კანონზომიერ მივლენად მივიჩნევ, მივესალ-



21-ე საუკუნის პრივილეგია

ნარმატებული სვლა ქირურგიის სამყაროში



– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 ქირურგიის დეპარტამენტის კერძო ქირურგიის მიმართულება №1 -ის ასოცირებული პროფესორი, კლინიკა „კარაპს-მედლაინ“-ის ზოგადი და მინი-ინვაზიური ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ქირურგი-ექსპერტი ზოგად ქირურგიაში, არაერთი საერთაშორისო ქირურგიული საზოგადოების და ასოციაციის წევრი, ავტორთა ჯგუფთან (მედიცინის დოქტორები – **თენგიზ ჩართოლიანი და დავით აბულაძე**) ერთად გახლავთ პირველი ქართული თანამედროვე მონოგრაფიის – **„ლაპაროსკოპული ქირურგია“** – ავტორი; წიგნი დამტკიცებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო სახელმძღვანელოდ და დიდ სამსახურს გაუწევს სტუდენტებს, რეზიდენტებს, ახალგაზრდა და გამოცდილ ქირურგებს; იგი ორიგინალურია და მთლიანად დაფუძნებულია საკუთარ გამოცდილებასა თუ კლინიკურ მასალაზე და ამ მიმართულებით საერთაშორისო სამედიცინო-პრაქტიკულ მიღწევებზე; წიგნი ძალზედ მაღალი პოლიგრაფიული ხარისხისაა, მასში განთავსებულია მდიდარი და მრავალფეროვანი საკუთარი ფერადი ვიდეო-ფოტო მასალა და აღწერილია ენ ლაპაროსკოპული ვიდეო-ანატომია, რომელიც ხშირად განსხვავებულად აღიქმება ნორმალური ანატომიისგან ლაპაროსკოპული ოპერაციების დროს. წიგნში, ასევე, დაწერილია განხილულია სხვადასხვა ქირურგიული პათოლოგიის ლაპაროსკოპული ქირურგიული მეთოდების ჩვენებები, ოპერაციული ტექნიკისა და ტექნიკის საკითხები. ასეთი მაღალი დონის პოლიგრაფიული ხარისხის, თვალაჩინო ვიზუალური ფერადი ვიდეო-ფოტო მასალის, ილუსტრაციებისა და ინფორმაციის შემცველი წიგნი პირველია პოსტსაბჭოთა სივრცეში და არც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ანალოგიური გამოცემებია ამგვარად სრულყოფილი და მოცულობითი.

...ბატონი მერაბი თითქმის ორი ათეული წელია ქირურგიის ამ მიმართულებით ინტენსიურად მოღვაწეობს. დღეისთვის მსოფლიო მედიცინაში ლაპაროსკოპულ ქირურგიას წამყვანი პოზიცია უჭირავს, გამომდინარე მისი უპირატესობების ფართო სპექტრიდან, კერძოდ: მცირე ოპერაციული „ტრავმა“ მიიღწევა მაქსიმალური ეფექტი, გამოხატული პაციენტის სწრაფი ფიზიკური, სოციალური და შრომითი რეაბილიტაციით; რაც, განსაკუთრებით მომგებიანია როგორც ავადმყოფისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის. ლაპაროსკოპული ოპერაციის დროს არ ირღვევა ჰომეოსტაზი, ორგანოთა ფუნქციები და არ ვითარდება იმუნოდეპრესია; მეტიც, ერთგვარი იმუნოსტიმულაცია კი ხდება – მცირე ინვაზიური გაღვივება იწვევს ორგანიზმის იმუნური ძალების მობილიზაციას-სტიმულაციას. ამიტომ არის, რომ ლაპაროსკოპული ოპერაციიდან 2-3 დღეში, მაქსიმუმ 1 კვირაში ავადმყოფი ძველზე უფროდ შრომისუნარიანია, ტრადიციული ლაპაროსკოპული ოპერაციის შემდეგ კი ავადმყოფის სრული რეაბილიტაციისთვის, საშუალოდ, 40 დღეა საჭირო. ამრიგად, ლაპაროსკოპული ოპერაციის შემდეგ პაციენტს მკვეთრად უუმჯობესდება ცხოვრების ხარისხი და არც შორეული გართულებები გახლავთ მოსალოდნელი, როგორცაა პოსტოპერაციული თიაქრები და მუცლის ღრუს შეზღუდვებით გაუვალობები; ამასთან, ღია ოპერაციებისგან განსხვავებით, იგი გაცილებით ნაკლებ დროს მოითხოვს და ზოგადი ანესთეზიის ხანგრძლივობ-


აც შემცირებულია. ლაპაროსკოპული ჩარევისას ზოგადი ხასიათის გართულებები მცირდება 15-20 %-ით, რადგან ადგილი არ აქვს იმუნოდეპრესიას და არ ირღვევა ორგანოთა ფუნქციები. შესაბამისად, მიიღწევა ავადმყოფის სწრაფი და სრული სოციალური, შრომითი და ფიზიკური რეაბილიტაცია.

...ბატონმა მერაბმა 1984 წელს ნარმატებით დაასრულა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. სამედიცინო ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, 1985-88 წლებში, ქალაქ ჭიათურაში მუშაობდა, სადაც ცნობილი ქირურგის – **გვიგი კვიციანიძის** – ხელმძღვანელობით დახელოვდა და „ქირურგიის საიდუმლოებებს“ ეზიარა.

განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს მაღლიერი მოწაფე ღირსეულ დასტაქარს და პროფესიული გზის გამკვლევად მიიჩნევს. შემდეგ კი თბი-

მერაბ კილაძე – ქირურგიის ერთ-ერთი უახლესი და თანამედროვე მიმართულების – მცირე ინვაზიური (ლაპაროსკოპული) ქირურგიის – თვალაჩინო და ნარმატებული წარმომადგენელი, თანაბრად რომ იცნობენ ჩვენთანაც და მის ფარგლებს გარეთაც...

მასთან ჩვენი საუბარი უშუალოდ, გულწრფელად, საინტერესო პასაჟებით წარიმართა... ნათქვამ წინადადებათა შორის, გარდა უბადლო პროფესიონალიზმისა, მკაფიოდ იგრძნობოდა სამშობლოს, ადამიანის, თავისი საქმის უსაზღვროდ მოყვარული პიროვნება...



– გაძლიერებულ-გახანგრძლივებული კურსს იტალიაში, ქალაქ **მოდენაში**. პერსპექტიულ, საიმედო მეცნიერსა და ქირურგს, შეთავაზება ჰქონდა უცხეთის არაერთი თანამედროვე კლინიკიდან, მაგრამ მან საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სამსახური არჩია და გადაწყვიტა, მიღებული ცოდნა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისთვის მიეძღვნა.

2002 წელს უკვე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია – ლაპაროსკოპულ ქირურგიაში პირველად საქართველოში ნარმატებით დაიცვა სამეცნიერო ხარისხი,

ყოფს, სადაც მის მიერ ნარმატებით სრულდება ოპერაციები 20-მდე დასახელების ქირურგიული პათოლოგიის დროს. დღეს ზომ ლაპაროსკოპული ქირურგია გაცილებით ეფექტიურია, ვიდრე ტრადიციული ოპერაციები. ამ დახვეწილი, ნატიფი მეთოდის გამოყენებით, მუდმივად განახლებადი აპარატურისა და ინსტრუმენტების საშუალებით, შესაძლებელი ხდება მოცულობითი და რადიკალური ოპერაციების ნარმოება მაქსიმალური შედეგის მიღწევით. იგი ამ მეთოდს მუცლის ღრუს ქირურგიულ დაავადებათა 80%-ში იყენებს, დანარჩენ 20%-ში, ასევე, ნარმატებით ასრულებს ტრაციულ ღია ქირურგიულ ჩარევებს.

ნარმატებული სვლა ქირურგიულ სამყაროში – საერთო ჯამში შესრულებული 20 000-ზე მეტი ოპერაცი-

უნივერსიტეტის სასწავლო ბაზას წარმოადგენს – უნაგაროდ ემსახურება მომავალ ექიმთა სწავლების საქმეს. მისი ხელმძღვანელობის, ქალაქიური **ფერიდე ხიდუშელის** ხელშეწყობით, ჩვენს სტუდენტებს საშუალება აქვთ, მიიღონ თანამედროვე თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა ქირურგიაში, რაც მყარ ბაზის წარმოადგენს მათი შემდგომი დახელოვნებისთვის.

ბატონი მერაბი მაღლიერებით აღნიშნავს თსუ-ის ხელმძღვანელობის, რექტორის, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას**, კანცლერის, ბატონ **ზურაბ ორჯონიკიძის**, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესორ **ირინა კვაჭაძის**, მედიცინის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ **თინა ჩიქოვანის** და რექტორის მოადგილეების დიდი წვლილის შესახებ აკადემიურ საქმიანობაში ხელშეწყობის, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის და ნორმალურად წარმართვის საქმეში.

...მედიცინა მუდმივი ცვლებადობის რეჟიმშია, იხვეწება და ვითარდება დიაგნოსტიკა-მკურნალობის მეთოდები და მიდგომები; სიახლის ძიებაში მყოფი ქართველი მედიკოსები – **საქართველოს მცირე ინვაზიური ქირურგთა ასოციაციის** ეგიდით, რომლის პრეზიდენტიც გახლავთ ბატონი მერაბ კილაძე, 2014 წლის შემოდგომაზე თბილისში მართავს **საქართველოს მცირე ინვაზიური ქირურგთა ასოციაციის II კონგრესს** (საქართველოს მასშტაბით, მისი ხელმძღვანელობით, I კონგრესი ჩატარდა 2008 წელს). ამავე პერიოდში, იგი თავის კოლეგებთან, **დავით აბულაძესთან და თენგიზ ჩართოლიანთან**, ერთად, ორგანიზებას გაუწევს ჩვენს დედაქალაქში **ევროპის, ხმელთაშუა ზღვის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ენდოსკოპისტ ქირურგთა მორიგ, რიგით XIII, გაერთიანებულ კონგრესს ლაპაროსკოპულ ქირურგიაში**, რომელზეც მსოფლიოს 55 ქვეყნის 300-მდე სპეციალისტი წარსდგება საინტერესო სიახლეებით.

...რაოდენ საამაყოა, რომ დღეს ბატონი მერაბის სახით, საქართველოს ჰყავს მაღალი ინტელექტის, თანამედროვე სამედიცინო ქირურგიული კოლის ღირსეული წარმომადგენელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აღზრდილი, უმაღლესი რანგის ექიმი-სპეციალისტი, რომლის დიდი წვლილიცაა იმაში, რომ ქართული ქირურგიული სკოლა თამამად მოიხარება მსოფლიოს წამყვან ანალოგიურ სამედიცინო სკოლათა შორის.

...სადა, არაამბიციური ნატურა გამორჩეულობის ელფერს მატებს მის პიროვნულ ღირსებებს – არაერთი შეთავაზების მიუხედავად, „მაცდურ“ უცხოეთში უზრუნველ ცხოვრებას, სამშობლოში საუკეთესო ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა რომ არჩია და, მათი მდგომარეობის გათვალისწინებით, ხშირად უნაგაროდაც რომ ასრულებს პროფესიულ მოვალეობას...

დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავთ ბატონ მერაბს, ჯანმრთელობა და ნარმატებუბი არ მოჰკლებოდეს ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

დარეჯან კომლაძე, მანანა ფხალაძე



პროფესორი მერაბ კილაძე და ფრანგი ქირურგი ფილიპ მირაი – ქირურგიული ლაპაროსკოპიის ფუძემდებელი მსოფლიოში



ლისში, მუცლის ღრუს ქირურგიაში, დაიხვეწა პროფესორ **ზურაბ ცხაკაია**თან; თანამედროვე ლაპაროსკოპულ ქირურგიას კი ბატონი მერაბი აზიარებს უცხოელმა პროფესორებმა – **ჯან ლუიჯი მელიტიმ და ჯორჯ ვილსონ ლუკასმა**.

1994 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ჰეპატო-ბილიარულ ქირურგიაში, შემდგომ, 1997 წელს, ახალგაზრდა სპეციალისტი მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ **ატლანტის** ცენტრალურ კლინიკაში, სადაც გადის ინტენსიურ ბაზისურ კურსს ლაპაროსკოპულ ქირურგიაში, ხოლო 1998 წელს

შემდგომ კი თავად გახდა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელი ამ მიმართულებაში.

ბატონი მერაბის ხელმძღვანელობით, საქართველოში, დაინერგა ენთელური ლაპაროსკოპული ოპერაციები, რომლებიც ნარმატებით სრულდება ღვიძლზე, ელენთაზე, პანკრეასზე, საყლაპავზე, კუჭ-ნაწლავზე, თირკმელზედა ჯირკვალზე და სხვა.

ბატონი მერაბი წლების განმავლობაში დედაქალაქის სხვადასხვა კლინიკის წამყვან სპეციალისტად მუშაობდა. ამჟამად ძირითადად კლინიკა **„კარაპს-მედლაინი“** მოღვაწე-

ობს (მათ შორის, 10 000-ზე მეტი ლაპაროსკოპული) – შედეგია თავდაუზოგავი შრომისა, მუდმივად სიახლის ძიებისა, თეორიული სჯვა-ბაასისა და პაექრობისა სტუდენტებთან, რეზიდენტებთან, დოქტორანტებთან თუ ექიმებთან; ამჟამად, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს და თსუ-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ბატონი მერაბ კილაძის ხელმძღვანელობით, ახალგაზრდა და გამოცდილი ქირურგები გადიან სასწავლო კურსს ლაპაროსკოპულ ქირურგიაში.

კლინიკა **„კარაპს მედლაინი“** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო

ხელოვნება ფესტივალი „ნილაზი“ და თსსუ-ის თეატრის წარმატება

2012 წლიდან, მოყვარულ თეატრთა ასოციაციის ინიციატივით, ტარდება მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ფესტივალი „ნილაზი“, რომელიც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს ურთიერთანამშრომლობის, შემოქმედებითი აქტივობის თუ აქტიორული ნიჭის სრულად წარმოჩენის შესაძლებლობას აძლევს.



ნო აბშილავაძე; მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის – ალექსანდრე შენგელიამ; მამაკაცის კომედიური როლის საუკეთესო შესრულებისთვის – თამაზ თამაზაშვილმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთივე წარმატებული იყო თეატრის გამოსვლა 2012 წელს გამართულ ფესტივალზე, როცა მან, ასევე, არაერთ ნომინაციაში გაიმარჯვა. აქვე ვიტყვი, რომ დაარსებიდან დღემდე „ჭიბიამ“ მაცურებელს თავი დაამახსოვრა ანშლაგით მიმდინარე არაჩვეულებრივი სპექტაკლებით, როცა რეჟისორის სათქმელი ყოველთვის გამოკვეთილი და მრავლისდამტევია, ხოლო სტუდენტი მსახიობების აქტიორული მონაცემები – სასიხარულო და დასამახსოვრებელი.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ულოცავს თეატრის რეჟისორს და მსახიობებს მნიშვნელოვან აღიარებას; ვუსურვებთ ბედნიერ შობა-ახალწელს და კვლავ არაერთ წარმატებას...

ნათო პოლქვაძე

ფესტივალში მონაწილეობდნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის, ისე – თურქეთის და აზერბაიჯანის სტუდენტური თეატრალური დასები.

ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ნითელ დარბაზში“. ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის მერიის წარმომადგენლები, თსსუ-ის ხელმძღვანელები, პროფესორ-მასწავლებლები, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები.

ფესტივალის მონაწილეებს აფასებდა კომპეტენტური ჟიური: გოგი თოდაძე (რეჟისორი); ჯაბა პაპუაშვილი (რეჟისორი); ნიკა წულუკიძე (თეატრმცოდნე); აკაკი სტურუა (თბილისის მერიის წარმომადგენელი); ნინო თარხან-მოურავი (რუსთაველის თეატრის მსახიობი); ეკა მოლოდინაშვილი (რუსთაველის თეატრის მსახიობი); თამუნა ნიკოლაძე (თავისუფალი თეატრის მსახიობი); ჯაბა კილაძე (მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი).

ფესტივალი საზეიმოდ დაიხურა „თი-ბი-სი გალერეაში“, სადაც დასახელდნენ ნომინაციებში გამარჯვებულნი ფესტივალში მონაწილე უნივერსიტეტებიდან. შთამბეჭქდავი და სასიხარულო იყო ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების წარმატება, რომლებმაც ოთხ ნომინაციაში გაიმარჯვეს. კერძოდ: ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის – თამარ ულენტმა; ქალის კომედიური როლის საუკეთესო შესრულებისთვის – ნი-



სპორტი სპორტსმენი მედიკოსების საფეხურით გაბაღიანი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სასწავლო პროცესთან ერთად, სპორტულ და კულტურულ ცხოვრებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. მომავალი მედიკოსები თამამად ცდიან ბედს ხელოვნებასა თუ სპორტში და, უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებული შედეგებით გამოირჩევიან.

მიეძღვნა სახელოვან ფეხბურთელს

რესი აღნიშნული ტურნირებისადმი. სტუდენტებს კარგად აქვთ გაცნობიერებული სასახელო სპორტული ტრადიციებისადმი პატივისცემა, რასაც შენარჩუნება სჭირდება.

ტურქ და ნიგერიელ სტუდენტთა 10 გუნდი. შეჯიბრი გამორჩეული გამოდგა – უცხოელები თამაშის შესანიშნავი სტილით გამოირჩეოდნენ, ფინალი კი დაძაბული, საინტერესო იყო. ბატონი რევაზ ძოძუაშვილი მოიხიბლა ახალგაზრდების თამაშით. საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა „გალათასარაის“ ფეხბურთელი ერზან ჩეიანი („მარადონა“), ბომბარდირად, 10 გატანილი გოლით, – ნიგერიელი ქლიფორდი, საუკეთესო მეკარედ – „გალათასარაის“ მეკარე – ქადირ უფუქაქანი, გამორჩეულ მცველად – ნიგერიელთა კაპიტანი – ქრისტი.



ბჭოთა კავშირის წაკრების უცვლელი თავდამსხმელის, სსოვინისადმი მიძღვნილ საფეხბურთო ტურნირში პირველკურსელი ფეხბურთელები მონაწილეობდნენ. ტურნირის ორგანიზება გაუკეთა სტუდენტმა დანი გიორგაძემ; მთავარმა მწვინმა გამორჩეული გახლდათ გიორგი სალინაძე და ლაშა ოსეფაშვილი. პირველკურსელთა თამაშმა მაცურებლის სიმპათია დაიმსახურა.

რევაზ ძოძუაშვილის სახელობის ტურნირში უცხოელები ფაქულტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ. მინი-ფეხბურთის სატურნირო მატჩები საერთაშორისო სტატუსის გახლდათ და წარმოდგენილი იყო

ნგს და სამომავლო წარმატებებს უსურვებთ სპორტულ ასპარეზზე!

ნათია ბრეჟაშვილი,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი

ცილო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის (დირექტორი ზაურ ფალაძე) და საუნივერსიტეტო საფეხბურთო გუნდის მწვრთნელის, ვახტანგ ბაქანიძის, ორგანიზებით, არაერთი სპორტული ღონისძიება ტარდება, რომელშიც, ქართველ სტუდენტებთან ერთად, აქტიურობენ უცხოელი სტუდენტები.

დიდი ქართველი ფეხბურთელების – დავით ყიფიანის და რამაზ შენგელიას – ხსოვნას და, ასევე, ცნობილ ქართველ ფეხბურთელს – რევაზ ძოძუაშვილს – მიეძღვნა სამედიცინო უნივერსიტეტში მიმდინარე წლის მინიურულს ჩატარებული მათი სახელობის ტურნირები.

დიდი იყო ახალგაზრდების ინტე-

ტანგოს ფესტივალი

თსსუ-ში უკვე მეორედ ჩატარდა ტანგოს ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი სტუდენტური წყვილები. ფესტივალის იდეის ავტორი იყო თსსუ-ის სტუდენტი თეკლა გოგრიჭიანი, ხოლო სცენარის ავტორი და რეჟისორი – მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი ლაშა ლობჯანიძე.



კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები: I ადგილი დაიმსახურეს სოფო გოდერძიშვილმა და ზურაბ გვეტაძემ; II ადგილი – ანი ნადირაძემ და თამაზ დევნოზაშვილმა; III ადგილი – თათია ქორლაძემ და გიორგი სალინაძემ.



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გამოავლინა საკუთარი რჩეული: – ლიკა ბუზარიაშვილი და თორნიკე თამაზაშვილი; სტუდენტურმა თვითმმართველობამ პირველ ადგილზე გასული წყვილი განსაკუთრებული პრიზით – საგზურით ბაკურიანში – დააჯილდოვა. უნივერსიტეტის კანცლერმა, ბატონმა ზურაბ ორჯონიკიძემ, სპეციალურად ამ პროექტისთვის რუსეთი-



დან მოწვეულ ქორეოგრაფს, ელენა ახმეტოვას, თსსუ-ის სახელით მადლობის სიგელი გადასცა. გამარჯვებულ წყვილებს გადაეცათ მედლები და დიპლომები.

ინფორმაცია

გაცოცხლებული ლექსითა ბნეობები



წინასახალწლოდ ნოსტალგია მოგვძალებია თქვენი - ადრეული წლების სტუდენტებისა, რომელთა შემოქმედება ამშვენებდა ჩვენი გაზეთის გვერდებს... ღია, ანა, გიგი, თინათინ, რუსუდ-ან, ნატო, ნანა, ია და კიდევ მრავალი, ჩვენი სულიერი სამყაროს ნაწილი და მასაზრდოებელი...

ისინი კალმით ძერწავდნენ საახალწლო, გაზაფხულის მაუწყებელ, სატრფიალო, საღალღობო, მამულის საყვარულით გამთბარ სტრიქონებს... ამჯერად, რადგან ახალი, 2014 წელი დგება, არჩევანი შევაჩერეთ ახალი წლისადმი მიძღვნილ ლექსებზე, რომელთაც, ჟამთა სვლის გამო, არ დაუკარგავთ აქტუალობა, რადგან ისევ და ისევ „სახლი ივსება საახალწლო განწყობილებით, „გოზინაყები ნიგვზის კიჭვებს აწკაპუნებენ“... „დილა ელის ათიათასს ღიმღის“... „ჰა, ვიგრძენი ახალი წლის დილა მოდის“... „ახალ წელს და ყოველ ახალს გაუმარჯოს!“

„ახალი წელი მოვა ქუხილით, გადაიღვრება ყველა წუხილი“... „მომილოცავს, მომილოცავს, ეს ახალი წელი!“ მრავალი წელი გასულა... ბევრი თქვენგანი თვალსაწიერის მიღმა დაგვრჩით, მაგრამ ჩვენი გულისა და სულის ნაწილად იქცეით...

მშობლიური გაზეთი მონატრებით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალწელს და კიდევ უთვალავს! წარმატებები, ღიმღი და სილამუე იყოს თქვენი თანამდევნი! თქვენთან ერთად ბედნიერი წლის შემოსვლას ვუსურვებთ ჩვენს ძვირფას მკითხველს, თქვენს აღმზრდელ პედაგოგებს, კოლეგებს, მომავალ კოლეგებს, რომლებსაც თქვენს სტუდენტურ შემოქმედებას ვთავაზობთ:

ღია ხარზილაკა

სახალწლო

სახლი ივსება საახალწლო განწყობილებით, გოზინაყები ნიგვზის კიჭვებს აწკაპუნებენ და ღიდ ღანგარზე საკობტაოდ დასუფილებით თვალს მიხარებენ, თან მაცდუნებენ. ბებო ქოთქოთებს, გულყვითელა ნაჭაპურს აცხობს, კაცებს კი ღვინით წუწათა გაუმართაოთ, კარები ღიდ კი არ ღამრჩა, ასე დაგტოვე, ჩემი ნაძვის ხეც საახალწლო მისამართია!

1984 წ.

გვიმ სამხარაძე

ჯადოსნური ხმები

ჰა, ვიგრძენი, ახალი წლის დილა მოდის, აი, უკვე შემობრძანდა როგორც სურდა. ამ გოგონას სულ ფიქვები შეაფრქვია, იმ ბიჭუნას გაძეგებით სტყორცხა გუნდა. თითქოს ხმა... ზღაპრული ხმა, ჯადოსნური; ნაბიჯებიც... და კაკუნიც, მაგრამ უხმო. საოცრება: ხმა არა აქვს, მაისც მესმის, ვერ ვხედავ და ახლოვდება თითქოს უფრო.

1977 წ.

ღიმღირი გერიძე

რა ინატრე? (ფელეტონი)

- რა ინატრე ახალ წლისთვის? მოგვიყვი, ღია... - რომ მთორე სემესტრისთვის მქონდეს სტაჟენდია. ამიტომაც ასე ვცდილობ, არ დაგვარეო წუთი წიენებს ხედავთ? - არ ვიცლებ, რომ მივიღო „ხუთი“. არ მოვიდე უხალათოდ, მქონდეს ყველას რიდი, რომ კიბუნე არავინ დაღვეს ღიდი გაბარიტით. ახალ-ახალი საქმისათვის ხელი მოგიკიდოს, მომავალში მიშს არ გგვრიდეს ინფარქტი და კიბო. შადრევისთვის ჩაყრილ მილებს ეყობ უქმად ყოფხა, აგვისროლდეს ჯინჯურზე და შექნიშხხე თხოვნა, სასაღილოს დაედგინოს კერძის ზუსტი წონა. ვხატობთ, რომ არ გავგებინდეს ახალ წინთა შოვნა. სიბეჯითით ავისროლებთ გამოცდებზე წადილს; სესის წინ ძველი წელი ყურმილს ახალს აწვდის: - ალო, ალო! „ფერიადებით“ დაიმშვენე ხელი, მომილოცავს, მომილოცავს ეს ახალი წელი!

1981 წ.

თინათინ ვაჟაყვამძე

სახალწლო

კიდით-კიდე, კუნჭულ-კუნთე მონატრული, მიწის მადლო, ცის ხათლო, ლექსად თქმული, საქართველო - ამღერებულ ჩახვთა ჟღერავ; სიცოცხლის და სიყვარულის გულის ძეგრავ; მღეროებო, მზის წუქურითი გახაშუქო, მწყემსო ბიჭო, სამიფარზე დახაშუქო, ფთილა-ფთილა აკინძული ზამთრის თვეო, საახალწლოდ მიკაშმული ნაძვის ხეო; ქართულ კაცის ჭურ-მარანო, ვადასილო, წორხელო, გოზინაყო ტკბილხე-ტკბილო! ვაევირდეო საძირველო, ჭერო ოდის, ილღეგობილე, ღიღეს ახალი წელი მოდის! ახალწლო ლექსის ბუკარო, მაჭრის ღარი, რითმად ზღვაში ჭეშმარიტად წმინდა კვალო, სეფიანო გულო, სითბოგამოცლილო, კრიმანჭული, ქართულ ღზინში გამოცდილო! ახლობღონო, მორაქონო, ამ ლექსებით დამიჯღღეო მე თქვენ გვერდით, ახალი წლის მომზადება მომილოცავს, იხარეთ და ასე ტკბილად დამიბერდით!

ყოველ ახალს გაუმარჯოს!

ყოველი ახალი მავსებს და მადლოვებს, მიხახთა კრებულებს ახარებს, აბეგრებს... ახალი მეძახის, რომ ვიგრძენო სილამუე, სულის მიღამხებს ყოველი სიმაღლე. სიცოცხლე ახალი იწყება ტირილით, გრძობათა ქონეურებს ამშვენებს ღიმღი... ახალი წლის მოსვლას მოგილოცავთ ყველას! შენი მეკვლეობის გეჯერა, გეჯერა, გვეჯერა! დაგვიბდე წინსვლა, ყველას სიტყვა უთხარ! რომ სულ გეჭონდეს სითბო კერას და ბუხარს... მინდა შენო სულიადს გარჯა დაგუმადლოთ, ახალ წელს და ყოველ ახალს გაუმარჯოს!

ჩვენს ინსტიტუტს!

შენმა კედლებმა შემასწავლეს ფასი სიცოცხლის, შენს აღზრდილ შვილებს, ერთი მითხარ, აბა ეინ მოთვლის, ხარ სახეკვარი დასაწეის უკედავებისა, - ცალხის ტაძარი, ფუძედღუძე ღალი შეგებისა. შენს ჭერქვეშ ვაჭრით ღიდი ცოდნა ვაზნთელობისა, ეს იყო წლები სახეგარო სტუდენტობისა. აქ გავიზარდე, აღვიზარდე სწავლის ბარაქით, და თანამეგზავრად გავიხადეთ თეთრი ხალათი. მარადჯამს იყავ მყარი, მგერივი, ვით კლდე ფრიალი, შენს ნატრეფილზე ჩვენც ამაყად, მხნედ რომ ვიაროთ.

1974 წ.

რუსუდან აფხაძე

სახალწლო

სულ სინანულად დაიფიქვება და ცისვერ რამეს სულში ჩახედავს, კრძალვით ახალ წელს დაერიდება და უკანასკნელ ზარებს ჩამოჭრავს. დაეხანება რაღაცა ძლიერ, დაეხანება წასვლა რატომაც, დარწხნილ წამებს დათვლის მკირეს, წვერს დაინახავს და დაითოვლავს... ...ახალი წელი მოვა ქუხილით, შენაზნარებს მიწას უეცრად, გადაიღვრება ყველა წუხილი, ახალი სწრაფვა მივა გულებთან...

1979 წ.

ნატა ღერუაშვილი

* * *

კაში იყო ფიქვის ფარდა - ის შენს სინარხრეს ჰგავდა... ზღაძი იყო ღორჯი ტალღა - ის შენს სეაქაძეს ჰგავდა... მზემი ოქროს სხივი ჩახდა - ის შენს სიფაქიხეს ჰგავდა... შენში თრთოდა შხის ნატეხი, სხვაზე უფრო მეტად მუწავდა... საღლაკ კრთოდა მთვარე ციქნა - ის ჩემს სიმარტოვეს ჰგავდა...

1986 წ.

ია სულაბერიძე

იყო და არა იყო რა...

იყო და არა იყო რა - ხუ ვიტყვით ასე ადვილად... ზღაძარს ყვებოდა ჩიორა, კი, იქნებოდა ნამდვილად... ღეთის უკეთესი თუ არა, არც უარესი ყოფილა, ცხრა წარღვამ ვადაურა, სეფას ვერ დაუძობილდა. ერთი მრავალთა მძლეველი, ზოგჯერ ბავარიც ხისათ, წვეთი ვერდაულოველი, თავად დამოღვი ზღვისაო! ზღაძარს ყვებოდა ჩიორა: იყინენ ღელა და კვირია!.. არ საქმხელია იოლად, თხრობა რა ვასავიერა? იყო მართალი ალუდა, თვალკრემიანხი მიხლია... ვადევიწყებას რა უნდა?! - წლები მიღიან, მიღიან... არსაქმხელია ადვილად, არც სათქმელია ადვილად, იყო და არა იყო რა... ჰო, იქნებოდა ადვილად...

1987 წ.

ნანა ცინცაძე

სიცივე თანდათან მატულობს, ზამთარი ძაღში შედის, ფიქვები აცვივით ტოტებს და ხაძესაც სითეთრე შექნის. ფურცლები აუღდება კალენდარს, თანდათან მატულობს დაქე, ღლები აუღდება ამ თვესაც, ეს თვეც მიიღევა მალე.

1972 წ.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია მადლობას უხდის იხსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ყოველილობისა და თანამშრომლობისთვის და ულოცავს დამდეგ შობა-ახალ წელს.